



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

სომხეთ-აზერბაიჯანის „ოთხღლიანი“ ომი: ვინ წააგო და
ვინ მოიგო

მამუკა კომახია

73

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

მამუკა კომანია

სომხეთ-აზერბაიჯანის „ოთხდღიანი“ ომი: ვინ წააგო და ვინ მოიგო

73

2016



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2016 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-9566-5

შესავალი

2016 წლის 2 აპრილს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მოულოდნელად დაწყებული სამხედრო დაპირისპირება ისტორიაში „ოთხდღიანი ომის“ სახელით შევიდა. „ოთხდღიანი ომი“ 5 აპრილს დასრულდა, 6 აპრილს კი მოსკოვში სომხეთისა და აზერბაიჯანის გენშტაბის უფროსები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. „ოთხდღიანი ომის“ შედეგად აზერბაიჯანმა სომხების მიერ ოკუპირებული მიწების¹ მცირე ნაწილი დაიბრუნა, რაც სომხეთის მიერ სტრატეგიული თვალსაზრისით უმნიშვნელო დანაკარგად შეფასდა.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებიდან „ოთხდღიან ომამდე“

მთიანი ყარაბაღში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში დაწყებული კონფლიქტი 1991 წელს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა, რომელიც 1994 წლის 12 მაისს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა. აღნიშნული შეთანხმებისა და 1994 წლის შემდეგ მიმდინარე მოლაპარაკებების მიუხედავად, ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე დაპირისპირება არასოდეს შეწყვეტილა. ამ მხრივ, „ოთხდღიანი ომი“ 1994 წლის შემდეგ ყველაზე სისხლიანი დაპირისპირება იყო. მცირემასშტაბიანი სასაზღვრო კონფლიქტი 2014 წლის აგვისტოშიც მოხდა, რომელიც რუსეთის ადრეული ჩარევის შედეგად მოგვარდა.

„ოთხდღიანი ომის“ ქრონოლოგია

„ოთხდღიანი ომი“ 2016 წლის 2 აპრილს გამთენიისას დაიწყო, როდესაც აზერბაიჯანის სამხედრო ძალებმა სომხეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, შეტევა წამოიწყეს. საინტერესოა, რომ ამ დროს სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები აშშ-ში ბირთვული უსაფრთხოების სამიტში მონაწილეობდნენ.

3 აპრილს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ლიად განაცხადა, რომ აზერბაიჯანი იძულებული გახდა, ეუთოს მინსკის ჯგუფის ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებში პროგრესის არარსებობის გამო, საპასუხო ნაბიჯები გადაედგა. აზერ-

ბაიჯანის ოფიციალური წარმომადგენლის მხრიდან ასევე გაკეთდა განცხადება, რომ დაპირისპირების განახლების მიზეზი წლის განმავლობაში სომეხი სამხედროების პროვოკაციები იყო და ამიტომაც აზერბაიჯანმა მთიან ყარაბაღში საპასუხო დარტყმის სტრატეგია შეიმუშავა, რაც მცირემასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის წარმოებას ითვალისწინებდა. იმავე დღეს, გარკვეული ტერიტორიის დაკავების შემდეგ, ალიემა ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ განაცხადა.²

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, 1 აპრილს, ღამით, აზერბაიჯანული სამხედრო პოზიციები და დასახლებული პუნქტები მტრის პოზიციებიდან ინტენსიური ცეცხლის ქვეშ მოექცა. პროვოკაციის თავიდან ასარიდებლად და სამოქალაქო პირების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ აღდერე-ტერტერ-აღდამისა (ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულება) და ხოჯავანდ-ფიზულის (სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულება) მიმართულებით საპასუხო მოქმედებების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, სტრატეგიული მნიშვნელობის რამდენიმე მაღლობი და დასახლებული პუნქტი მთლიანად გაიწმინდა მტრის ძალებისგან, მათ შორის – ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, სოფ. თალიშის მახლობლად მდებარე მაღლობები, საიდანაც გორანბოს რაიონისა და ამავე რაიონში მდებარე ქ. ნაფტალანისთვის საფრთხის შექმნა შეიძლებოდა. რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებას, აზერბაიჯანის ძალებმა ქ. ჰორადიზის დაცვის მიზნით, სტრატეგიული ლეღე ტეპეს მაღლობები დაიკავეს, რომელიც ფიზულის რაიონის მიმართულებით მდებარეობს და ვრცელი ტერიტორიის გაკონტროლების საშუალებას იძლევა.³

სამხედრო დაპირისპირება მოულოდნელად დასრულდა 5 აპრილს, როდესაც კონფლიქტის მხარეებმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განაცხადეს, 6 აპრილს კი მოსკოვში სომხეთისა და აზერბაიჯანის გენშტაბის უფროსები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. ამის შემდეგ უკვე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ტელეფონით ესაუბრა სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს.⁴

5 მაისს აზერბაიჯანელების სამხედრო ოპერაციის საპასუხოდ სომხეთის მთავრობამ მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ დადგენილება მიიღო,⁵ თუმცა ამ

გადანყვეტილებას შემდგომი სამართლებრივი გაგრძელება აღარ მოჰყოლია. 16 მაისს კონფლიქტის შუამავლების (რუსეთი, საფრანგეთი და აშშ) მონაწილეობით ვენაში სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს შორის მოლაპარაკება გაიმართა. შეხვედრაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერიც მონაწილეობდნენ.⁶ შუამავლების მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ სომხური მხარე ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმისა და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევის ფაქტების გამოძიების მექანიზმის გაძლიერებას ითხოვდა, აზერბაიჯანული მხარე კი – ახალი სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვას. მოლაპარაკებების საფუძველი 2015 წელს ლავროვის მიერ შემოთავაზებული წინადადება უნდა ყოფილიყო, რომელიც 2011 წელს ალიევისა და სარქისიანისათვის შეთავაზებული დოკუმენტის განახლებულ ვარიანტს წარმოადგენდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, ეტაპობრივად უნდა აღმდგარიყო სატრანსპორტო კომუნიკაციები და სომხებს უნდა დაეთმოთ ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ყარაბაღელი სომხების უსაფრთხოების გარანტიების სანაცვლოდ.⁷ „ოთხდღიანი ომის“ დასრულების შემდეგ გამართული მოლაპარაკებების მიუხედავად, მხარეები ერთმანეთს დღემდე ადანაშაულებენ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პერიოდულ დარღვევაში.

კონფლიქტის მხარეების ადამიანური დანაკარგები

„ოთხდღიან ომში“ დაღუპული სამხედრო და სამოქალაქო პირების ზუსტი რაოდენობის დადგენა რთულია, რადგან კონფლიქტის ორივე მხარე, პროპაგანდისტული მიზნებიდან გამომდინარე, საკუთარი და მოწინააღმდეგე მხარის დანაკარგების შესახებ განსხვავებულ შეფასებებს აკეთებს. ორივე მხარემ 60 სამხედრო და რამდენიმე სამოქალაქო პირის დაკარგვის შესახებ განაცხადა.⁸ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით კი, ორივე მხრიდან სულ 350 სამხედრო და სამოქალაქო პირი დაიღუპა.⁹ სხვა, შედარებით ნეიტრალური წყაროების ცნობით, სულ 200-მდე ადამიანი დაიღუპა. მათ შორის, სომხური მხარე 88 ადამიანის დაღუპვას ადასტურებს, აზერბაიჯანული არასამთავრობო მედიასამუშალები კი, 100-ზე მეტი აზერბაიჯანელის დაღუპვის შესახებ იტყობინება.¹⁰

აზერბაიჯანის მიერ დაკავებული ტერიტორიები

„ოთხდღიანი ომის“ შედეგად აზერბაიჯანულმა მხარემ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონის ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით გარკვეული ტერიტორიები დაიკავა, რომელსაც 1994 წლიდან სომხური მხარე აკონტროლებდა.

2 აპრილს აზერბაიჯანის მიერ ჩრდილოეთის მიმართულებით დაკავებული ტერიტორია სიგრძეში 4 კმ-ია, სიღრმეში კი – 1-1.5 კმ. ამ შემთხვევაში აზერბაიჯანულმა მხარემ გარკვეული პოზიციური უპირატესობა მოიპოვა, რადგან სოფ. თალიში აზერბაიჯანელთა პირდაპირი სამიზნე გახდა. სოფ. თალიში, რომელიც მთიანი ყარაბაღის მიერ კონტროლირებად მარდაკერტის რაიონშია, ამჟამად სომხური სამოქალაქო მოსახლეობისგან დაიცალა და სოფელში მხოლოდ სამხედროები არიან.¹¹

იმავე დღეს, სამხრეთის მიმართულებით, აზერბაიჯანულმა მხარემ ქ. ჰორადიზთან მდებარე ლეღე ტეპეს მალლობები დაიკავა. აზერბაიჯანული მხარე ლეღე ტეპეს მალლობებს სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. აზერბაიჯანელების შეფასებით, სომხებს ლეღე ტეპეს მალლობებიდან შეეძლოთ ფიზულის რაიონში ყველა დასახლებულ პუნქტზე ენარმოებინათ დაკვირვება, განსაკუთრებით – ფიზულის რაიონში მდებარე ქ. ჰორადიზსზე. ამ მალლობების დაკავებით კი, აზერბაიჯანის არმიას სომხური მხარის პოზიციების დაკვირვების საშუალება მიეცემა.¹²

მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, ლეღე ტეპე ვერ ჩაითვლება სტრატეგიული მნიშვნელობის მალლობად, რადგან მალლობის ზედა ნაწილის რადიუსი 5 მეტრია, მალლობის სიმაღლე – 20 მეტრი, პოზიციის თვალსაზრისით კი, მალლობს არ აქვს არსებითი ტაქტიკური მნიშვნელობა, სტრატეგიულ მნიშვნელობაზე საუბარიც კი არ არის. სომხური მხარის შეფასებით, ლეღე ტეპეს მახლობლად მთიანი ყარაბაღის არმიამ დაკარგა ტერიტორია, რომელიც ჯამში სიგრძეში 1.5-დან 2 კმ-მდეა და სიღრმეში 500 მეტრიდან 1 კმ-მდე.¹³

17 მაისს სერჟ სარქისიანმა აღიარა, რომ „ოთხდღიანი ომში“, აზერბაიჯანთან დაპირისპირების შედეგად, „უსაფრთხოების ზონის“¹⁴ 800 000 ჰექტარიდან 800 დაიკარგა. სარქისიანის შეფასებით, დაკარგულ ტერიტორიებს სომხეთის შეიარაღებული ძალებისათვის არ ჰქონდა არც ტაქტიკური და არც სტრატეგიული მნიშვნელობა.

სარქისიანის თქმით, „ფსიქოლოგიური კუთხით, აზერბაიჯანს შეუძლია დაარწმუნოს საკუთარი ხალხი, რომ მათ რაღაცას მიაღწიეს, მაგრამ თითო ჰექტარი მიწის დაკავებისთვის მათ მინიმუმ ერთი სამხედრო მოუკვდათ და ორზე მეტი დაეჭრათ. სომხურ ძალებს შეეძლოთ სტატუს-კვოს აღდგენა, მაგრამ კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად ღირდა ეს დიდ დანაკარგებად. მე ვზრუნავ ყველა ჩვენი სამხედროსა და ოფიცრის ბედზე“.¹⁵

სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლები თავის შეფასებებში ხაზს უსვამდნენ, რომ მათი ტერიტორიული დანაკარგი არ წარმოადგენდა სტრატეგიულ მნიშვნელობას, რაც სომხურ საზოგადოებაში სამხედრო მარცხის ერთგვარი გამართლების მცდელობად აღიქმებოდა. მსგავსი პოზიციის გასანეიტრალებლად სომხეთის თავდაცვის მინისტრმა სეირან ოჰანიანმა განაცხადა, რომ „აღნიშნული ტერიტორიები არ შეიძლება დავივიწყოთ, როგორც არ ვივიწყებთ ყველა ჩვენს ისტორიულ მიწას“ – ამით მან თავი შეიკავა დაკარგული მიწები „სტრატეგიულად უმნიშვნელოდ“ შეეფასებინა.¹⁶

ბრძოლის ახალი მეთოდები

კონფლიქტის მხარეებმა „ოთხდღიან ომში“ ღიად პირველად გამოიყენეს ბრძოლის ახალი მეთოდები კიბერშეტევებისა და საბრძოლო უპილოტო საფრენი აპარატების („დრონი“) სახით. აზერბაიჯანელმა ჰაკერებმა მთიან ყარაბაღსა და სომხეთში საინფორმაციო საიტებსა და სოციალურ მედიაზე შეტევა განახორციელეს, რასაც სომეხმა ჰაკერებმა აზერბაიჯანის სამთავრობო საიტებზე შეტევით უპასუხეს. კიბერშეტევის მტკიცებულებად სომხურმა მხარემ ის ფაქტი მოიყვანა, რომ სომეხი მოხალისეებით სავსე ავტობუსი „თვითმკვლელმა დრონმა“ ააფეთქა, რასაც შვიდი ადამიანის სიცოცხლე შეენირა. სომხური მხარის შეფასებით, ავტობუსის ადგილმდებარეობის დადგენა, სავარაუდოდ, საკომუნიკაციო ხაზებზე განხორციელებული კიბერშეტევის შედეგად მოხდა.¹⁷ არსებული ვერსიებით, აზერბაიჯანელებმა პირველად გამოიყენეს ისრაელის წარმოების „დრონი“. „დრონების“ ეს წარმოება (IAI Harop), როგორც ცნობილია, ისრაელის გარდა მხოლოდ ინდოეთსა და აზერბაიჯანს აქვს.¹⁸

ბრძოლის ახალი სტრატეგია

ადრინდელი მცირემასშტაბიანი დაპირისპირებებისგან განსხვავებით, 2016 წლის აპრილის სამხედრო დაპირისპირებას მისი მასშტაბების გამოც ეწოდა „ომი“. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი მხოლოდ ოთხ დღეს გაგრძელდა, სამხედრო დაპირისპირების დროს მხარეებმა ბრძოლის მრავალფეროვანი მეთოდები და შეიარაღება გამოიყენეს, მათ შორის – ტანკები, სამხედრო მანქანები, მძიმე არტილერია, რაკეტის გამშვებები და ავიაცია, ასევე – საბრძოლო უპილოტო საფრენი აპარატები.

სომეხი მკვლევარის რიჩარდ გირაგოსიანის შეფასებით, წინა ესკალაციებისგან განსხვავებით, აზერბაიჯანის შეტევითი კამპანია ახალ სტრატეგიაზე იყო დაფუძნებული, რაც ტერიტორიის დაკავებას, დაკავებულ ტერიტორიაზე უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფასა და ხანგრძლივი კონტროლის შენარჩუნებას გულისხმობს. გირაგოსიანის აზრით, ახალი სტრატეგია მნიშვნელოვანი გადახვევაა აზერბაიჯანის წინა სტრატეგიებიდან, რაც ზენოლის განხორციელების მიზნით უბრალოდ შეტევას გულისხმობდა.¹⁹

საერთაშორისო რეაგირება

დასავლეთის ქვეყნებისა და ორგანიზაციების მხრიდან რეაგირება დროული იყო, თუმცა ძირითადად ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტასა და მოლაპარაკების დაწყების შესახებ მოწოდებებს შეიცავდა. ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ფედერიკა მოგერინიმ, გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ მხარეებს 1994 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პატივისცემისკენ მოუწოდეს. ისინი სომხეთსა და აზერბაიჯანს ეუთოს ეგიდით მიმდინარე ე.წ. მინსკის პროცესისადმი ნდობის გამოხატვისკენ მოუწოდებდნენ.²⁰

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (კუხსო) გენერალური მდივნის ნიკოლაია ბორდიუჟას შეფასება სამხედრო დაპირისპირებაში აზერბაიჯანის ბრალეულობას უსვამდა ხაზს. მისი თქმით, ამ შემთხვევაში აზერბაიჯანული მხარის ქმედებები სიტუაციისა და კონფლიქტის ესკალაციას იწვევს და ყველაფერი მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს.²¹ კუხოს გენმდივნისგან განსხვავებით, ორგანიზაციის გავლენიანმა წევრებ-

მა უფრო პროაზერბაიჯანული პოზიცია დაიკავეს, რამაც სომხეთის უკმაყოფილება გამოიწვია. ყაზახეთის პროაზერბაიჯანულმა პოზიციამ ერევანში ევრაზიის ეკონომიკური კავშირის დაგეგმილი სამიტის გაუქმებაც კი გამოიწვია, რადგან ყაზახეთმა სამიტში მონაწილეობაზე უარი თქვა.²² სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვა ბელარუსის პოზიციას, რომლის მიხედვითაც მინსკი კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას უჭერს მხარს, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპის გათვალისწინებით. მსგავსი პოზიციის გამო განმარტებებისთვის სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სომხეთში ბელარუსის ელჩი დაიბარა. ერევნის შეფასებით, მინსკის ამგვარი პოზიცია არ შეესაბამება სომხეთ-ბელარუსის ურთიერთობის სულისკვეთებას.²³

უკრაინამ მხარდაჭერა გამოუცხადა აზერბაიჯანს. პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ილჰამ ალიევთან საუბრისას კიდევ ერთხელ დააფიქსირა კიევის მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრების ფარგლებში აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.²⁴ ღია მხარდაჭერა გამოუცხადა აზერბაიჯანს თურქეთმაც. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ ისინი ილოცებდნენ, რათა მათ აზერბაიჯანელ ძმებს უპირატესობა მოეპოვებინათ დაპირისპირებაში. ერდოღანმა ეუთოს მინსკის ჯგუფი მისი სისუსტის გამო გააკრიტიკა, რამაც, მისი აზრით, სიტუაცია ამ ვითარებამდე მიიყვანა.²⁵ რუსეთმა, თავის მხრივ, თურქეთის განცხადებას, რომელიც აზერბაიჯანის მხარდაჭერას გამოხატავდა, ცალმხრივი უწოდა.²⁶

საქართველოს პოზიცია, მეზობლების დაპირისპირებასთან დაკავშირებით, ნეიტრალური იყო და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისკენ მონოღებდას შეიცავდა. საქართველოს პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა თავის განცხადებებში კონფლიქტის საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობით დეესკალაციის იმედი გამოთქვეს.²⁷

„ოთღლიანი ომის“ გავლენა სომხეთისა და აზერბაიჯანის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე

სომხეთი

სომხეთს აზერბაიჯანთან სამხედრო დაპირისპირებამ, საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისით, საკუთარი პარტნიორებისა თუ მოკავშირეების მიმართ გარკვეული უნდობლობა გაუჩინა. რუსეთმა

ბოლო წლებში აზერბაიჯანის თანამედროვე სამხედრო იარაღით მომარაგება გაააქტიურა, რაც, ერევანის აზრით, სომხეთ-რუსეთის სტრატეგიული თანამშრომლობის სულისკვეთებას ეწინააღმდეგება. ევრაზიის ეკონომიკურ კავშირსა და კუხოში მოკავშირეებმა კი, ბელორუსმა და ყაზახეთმა, „ოთხდღიანი ომის“ მიმართ თავიანთი პოზიციით აჩვენეს, რომ აზერბაიჯანი უფრო მნიშვნელოვანი პარტნიორია, ვიდრე სომხეთი.²⁸

შიდაპოლიტიკური კუთხით, სომხური სამხედრო დანაყოფების უკანდახევამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის მთავრობებში. უფრო მეტიც, ამგვარმა წარუმატებლობამ შეიძლება სომხეთის პრეზიდენტის ძალაუფლებაც შეარყიოს. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის განახლებამ პატრიოტიზმის გაღვივებას შეუწყო ხელი, რაც ათასობით მოხალისის მობილიზებით გამოიხატა, მთი დაუმარცხებელი სომხური არმიის სესახებ, რომელსაც აზერბაიჯანის უფრო მეტი ტერიტორიის დაკავება შეუძლია, პირველად დადგა ეჭვქვეშ.²⁹

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანისთვის „ოთხდღიანმა ომმა“ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში მარცხის შემდეგ განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ტერიტორიების დაკარგვამ აზერბაიჯანელებს მოუჩინებელი ტრავმა მიაყენა, „ოთხდღიან ომში“ გამარჯვება კი აზერბაიჯანში საყოველთაო ზეიმის მიზეზი გახდა. აზერბაიჯანის ხედვით, „ოთხდღიან ომი“ მცირე, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაბრუნებით დასრულდა. წარმატებულმა სამხედრო ოპერაციამ მოსახლეობის მხარდაჭერა და მთავრობის, განსაკუთრებით – თავდაცვის სამინისტროს, პოპულარობა გაზარდა.³⁰

აზერბაიჯანის შემთხვევაში „ოთხდღიან ომს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა შიდა პოლიტიკის თვალსაზრისით ჰქონდა. არსებული მოსაზრებით, „ოთხდღიან ომში“ გამარჯვება აზერბაიჯანს შიდაპოლიტიკური პრობლემების დროებითი მოგვარების/გადავადების საშუალებას მისცემს. შიდა პრობლემების ერთ-ერთი მიზეზი აზერბაიჯანში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებია, რაც ნავთობზე დაბალი ფასებით არის გამოწვეული. 2013 წელს ნავთობი და გაზი ქვეყნის ექსპორტის 94%-ს შეადგენდა. 2014 წლიდან, ფასების ვარდნის გამო, აზერბაიჯანის ცენტრალურ ბანკს სავალუტო რეზერვების 2/3-ის დახარჯვა მოუწია, სანამ ეროვნული

ვალუტის მკვეთრი გაუფასურების გადანყვეტილებას მიიღებდა. მზარდმა ფასებმა და უმუშევრობამ წლის დასაწყისში რამდენიმე პატარა ქალაქში საპროტესტო გამოსვლებიც კი გამოიწვია, რაც ილჰამ ალიევის მმართველობის პერიოდში იშვიათობაა.³¹

„ოთხდღიანი ომის“ გავლენა რუსეთის როლზე

„ოთხდღიანი ომით“ პოლიტიკური დივიდენდები ყველაზე მეტად რუსეთმა მიიღო, რომელმაც გაიმყარა თავისი პოზიცია, როგორც კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მთავარმა გარანტმა და მხარეებს შორის შუამავალმა. არის მოსაზრება, რომ ეს კონფლიქტი რუსეთის დიდი გეგმის ნაწილია, რომელიც რეგიონში რუსი სამშვიდობოების განთავსებას ითვალისწინებს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ან კუხოს ფარგლებში. მსგავსი მიზნის მიღწევა შესაძლებელია სტატუს-კვოს შეცვლით და ეუთოს მინსკის ჯგუფის საქმიანობის დისკრედიტაციით. ამ გზით რუსეთი რეგიონში სამხედრო ყოფნას გააძლიერებს და სომხეთისა და აზერბაიჯანის შიდა პოლიტიკაზე გავლენის დამატებით ინსტრუმენტს მოიპოვებს, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო შეასუსტებს დასავლეთის როლს მთიანი ყარაბაღის სამშვიდობო პროცესში.³²

ძირითადი დასკვნები

- „ოთხდღიანი ომში“ წარუმატებლობა სომხეთს რუსეთთან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისკენ უბიძგებს. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი უკმაყოფილოა სამხედრო სფეროში რუსეთ-აზერბაიჯანის მზარდი თანამშრომლობით, რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სომხეთს საგარეო პოლიტიკაში მანევრირებისათვის შეზღუდული რესურსი აქვს. ამიტომაც ნაკლებად სავარაუდოა, სომხეთმა რუსეთთან სტრატეგიულ მოკავშირეობაზე უარი თქვას, განსაკუთრებით, სომხეთში რუსული სამხედრო ბაზების არსებობისა და, სომხების ხედვით, აზერბაიჯანთან მომავალში მსგავსი დაპირისპირების განმეორების ალბათობის ფონზე.
- „ოთხდღიანი ომში“ აზერბაიჯანის წარმატება, რომელიც ქვეყნის შიგნით გამარჯვებად შეფასდა, აზერბაიჯანის პოლიტიკურ ელიტას საშუალებას მისცემს შიდა წნეხისგან გარკვეული

პერიოდი განთავისუფლდეს. სამშვიდობო მოლაპარაკებების წარუმატებლობისა და აზერბაიჯანის თავდაცვითი ბიუჯეტის განუხრელი ზრდის ფონზე აზერბაიჯანის მთავრობა შიდა ზენოლას განიცდიდა, რაც საზოგადოების მხრიდან სომხეთის მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანული რაიონების ძალისმიერი გზით დაბრუნების მოთხოვნაში გამოიხატებოდა. „ოთხდღიანი ომის“ შედეგად დაბრუნებული ტერიტორიები მცირე მასშტაბისაა, თუმცა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და მთავრობაზე შიდა ზენოლას შეასუსტებს, რაც, საბოლოო ჯამში, მოკლევადიან პერიოდში, კონფლიქტის განახლების რისკებს შეამცირებს.

- უახლოეს პერიოდში „ოთხდღიანი ომის“ მსგავსი მასშტაბური დაპირისპირების განახლების ალბათობას მნიშვნელოვნად შეამცირებს რეგიონში მიმდინარე ენერგოპროექტები, რომლებშიც აზერბაიჯანი და საქართველო არიან ჩართული. ამ მხრივ საყურადღებოა, რაც „ოთხდღიანი ომის“ პერიოდში მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანის ენერგოინფრასტრუქტურის წინააღმდეგ შეტევას განახორციელებდა. დაპირისპირების მსგავსი სცენარით განვითარება კი საფრთხეს შეუქმნის არა მხოლოდ უკვე არსებული ნავთობსადენებისა და გაზსადენის ფუნქციონირებას, არამედ ეჭვქვეშ დააყენებს სამხრეთის გაზის დერეფნის მომავალს, რომელმაც საქართველოს გავლით აზერბაიჯანული გაზის პირდაპირ ევროპაში ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოფს.
- „ოთხდღიანმა ომმა“ დაადასტურა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადანყვეტაში მთავარი როლი რუსეთს ეკუთვნის, ეუთოს მინსკის ჯგუფისა და დასავლეთის როლი კი უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს. საინტერესოა, რომ იმ ფონზე, რომ რუსეთის სომხეთის სტრატეგიული მოკავშირე და მისი უსაფრთხოების მთავარი გარანტორია, იგი (რუსეთი) ბოლო წლებში სამხედრო სფეროში აზერბაიჯანის მნიშვნელოვან პარტნიორადაც ჩამოყალიბდა. კონფლიქტის ორივე მხარესთან კავშირის გამყარება კი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების პროცესში მოსკოვს, დასავლეთთან შედარებით, უდავო უპირატესობას მისცემს, რაც რეგიონულ პროცესებზე მოსკოვის გავლენის გაზრდას უზრუნველყოფს.

ბიბლიოგრაფია

1. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის სამხედრო ძალებმა, უშუალოდ მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის გარდა, შეიძინა აზერბაიჯანული რაიონის ოკუპაციაც განახორციელეს. ეს რაიონებია: ქელბაჯარი, ლაჩინი, ქუბადლი, ჯაბრაილი, ზანგილანი, აღდამი, ფიზული.
2. Orhan Gafarli, „Secrets of the Four-Day Karabakh War“, *The National Interest*, April 13, 2016, www.bit.ly/2f0JYI3 (ნანახია 31 ოქტომბერს, 2016).
3. „Azerbaijani Defense Ministry: Heights surrounding Talish village fully cleared of enemy forces“, *Apa*, April 2, 2016, www.bit.ly/2gi74t8 (ნანახია 12 ნოემბერს, 2016).
4. Aleksandra Jarosiewicz, Maciej Falkowski, „The Four-day war in Nagorno-Karabkh“, *The Centre for Eastern Studies*, June 4, 2016, www.bit.ly/2fxElhW (ნანახია 31 ოქტომბერს, 2016).
5. „Armenia government approves bill on recognition of Karabakh independence“, *News.am*, May 5, 2016, www.bit.ly/2f5cyFb (ნანახია 16 ნოემბერს, 2016).
6. „Armenia, Azerbaijan Presidents Meet in Vienna Over Nagorno-Karabakh“, *RFE/RL*, May 16, 2016, www.bit.ly/2gHmSGh (ნანახია 22 ნოემბერს, 2016).
7. Thomas De Waal, „Prisoners of the Caucasus: Resolving the Karabakh Security Dilemma“, *Carnegie Europe*, 16 June 2016, www.carnegieeurope.eu/2016/06/16/prisoners-of-caucasus-resolving-karabakh-security-dilemma/j1yq (ნანახია 16 ნოემბერს, 2016).
8. Aleksandra Jarosiewicz, Maciej Falkowski, „The Four-day war in Nagorno-Karabkh“.
9. „Background Briefing on the Nagorno-Karabakh Conflict“, *U.S. State Department*, May 16, 2016, www.bit.ly/2fhi7hn (ნანახია 9 ნოემბერს, 2016).
10. Thomas De Waal, „Prisoners of the Caucasus: Resolving the Karabakh Security Dilemma“.
11. Татул Акопян, „4-дневная Апрельская война: итоги, уроки, легенды – Аналитикон“, *ANI Armenian Research Center*, June 2, 2016, www.bit.ly/2f592dH (ნანახია 12 ნოემბერს, 2016).
12. „Liberated ‘Lele Tepe’ height“, *Report.Az*, April 7, 2016, www.bit.ly/2fy1UBp (ნანახია 12 ნოემბერს, 2016).
13. Татул Акопян, „4-дневная Апрельская война: итоги, уроки, легенды – Аналитикон“.
14. ამ ტერმინით სომხური მხარე სომხური შეიარაღებული ძალების მიერ მთიანი ყარაბაღის გარშემო დაკავებულ აზერბაიჯანულ რაიონებს მოიხსენიებს.
15. „Karabakh lost 800 ha that played no strategic role: Armenia“, *PanARMENIAN.Net*, May 17, 2016, www.bit.ly/2fgfSot (ნანახია 13 ნოემბერს, 2016).

16. Sara Khojoyan, „Land Debate: Loss of “unimportant” territory makes life in Karabakh village unsafe“, *ArmeniaNow*, May 24, 2016, www.bit.ly/2fZu9xD (ონლაინჟურნალი *ArmeniaNow*, აღარ გამოდის 2016 წლის ივნისიდან).
17. Masis Ingilizian, „Azerbaijan’s Incremental Increase On The Nagorno Karabagh Front-line“, *Bellingcat*, April 12, 2016, www.bit.ly/2fXYUor (ნანახია 12 ნოემბერს, 2016).
18. Raf Sanchze, „‘Suicide drone’ used for first time in fighting between Azerbaijan and Armenia“, *The Telegraph*, April 8, 2016, www.bit.ly/1Xl7rOu (ნანახია 12 ნოემბერს, 2016).
19. Richard Giragosian, „Nagorno-Karabakh Situational Assessment“, *Regional Studies Center*, April 4, 2016, www.bit.ly/2fWbOB7 (ნანახია 12 ნოემბერს, 2016).
20. Simon Tisdall, „Azerbaijan-Armenia conflict is a reminder of Europe’s instability“, *The Guardian*, April 3, 2016, www.bit.ly/2fG91ey (ნანახია 13 ნოემბერს, 2016).
21. „CSTO Chief Blames Baku For Escalation In Karabakh“, *Azattyun*, April 2, 2016, www.bit.ly/2fY50FB (ნანახია 13 ნოემბერს, 2016).
22. Aza Babayan, „Eurasian Union Meeting in Yerevan Cancelled“, *Azattyun*, April 7, 2016, www.bit.ly/2fZwUyS (ნანახია 13 ნოემბერს, 2016).
23. „Yerevan bewildered over Belarus position on Karabakh conflict“, *ARKA News Agency*, April 3, 2016, www.bit.ly/2eGIVLA (ნანახია 13 ნოემბერს, 2016).
24. „Ukraine supports Azerbaijan’s territorial integrity within intl recognized borders – Poroshenko tells Aliyev“, *Kyiv Post*, April 5, 2016, www.bit.ly/2fy4JIH (ნანახია 13 ნოემბერს, 2016).
25. „Nagorno-Karabakh clash: Turkey backs Azeris ‘to the end’ against Armenia“, *BBC*, April 3, 2016, www.bbc.in/1RUTgkQ (ნანახია 13 ნოემბერს, 2016).
26. „Turkey must stop meddling in other states’ affairs, end support of terrorism, Russia says“, *Reuters*, April 4, 2016, www.reut.rs/1Xbnuhl (ნანახია 13 ნოემბერს, 2016).
27. „Tbilisi Concerned Over Heavy Fighting in Nagorno-Karabakh“, *Civil Georgia*, April 3, 2016, www.bit.ly/2fG8adV (ნანახია 13 ნოემბერს, 2016).
28. Anahit Shirinyan, „Four-Day Battle Over Nagorny Karabakh May Be a Prelude to a New War“, *Chatham House*, April 22, 2016, www.bit.ly/2fWKmBa (ნანახია 12 ნოემბერს, 2016).
29. Aleksandra Jarosiewicz, Maciej Falkowski, „The Four-day war in Nagorno-Karabkh“.
30. Zaur Shiryev, „The “Four-Day War”: new momentum for Nagorno-Karabakh resolution?“, *CACI Analyst*, May 2, 2016, www.bit.ly/2fhidWa (ნანახია 1 ნოემბერს, 2016).
31. „Nagorno-Karabakh’s war: A frozen conflict explodes“, *The Economist*, April 9, 2016, www.econ.st/1qxE80P (ნანახია 12 ნოემბერს, 2016).
32. Aleksandra Jarosiewicz, Maciej Falkowski, „The Four-day war in Nagorno-Karabkh“.